ხელშეკრულება №182/15

(საკუთარი სახსრები)

" 18" აგვისტო 2015 წ. ქ.თბილისი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

1.1."სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის "ვ" ქვეპუნქტისა და 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მეორე პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ (შემდგომში **შემსყიდველი**) შპს „საქართველოს მელიორაცია" (მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი **№**6) მისი გენერალური დირექტორის ლევან დვალის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში **მიმწოდებელი**) შპს „მთარგმნელობითი აპარატურა პლუს" მისი დირექტორის ეკა ჩოჩუას (მისამართი: ქ. თბილისი; მოსკოვის გამზ. მე-5კვ. მე-2 კორპ) სახით ურთიერთშეთანხმებისა და მოხსენებითი ბარათის N8-705 საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შპს „საქართველოს მელიორაციის", სტუმრებისათვის ღონისძიების მოწყობის ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების შესყიდვა (კოდი: 79952000), (იხ.დანართი 1).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2111.02 (ორი ათას ასთერთმეტი ლარი და 02 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (დანართი) წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. მომსახურების შესრულების ვადები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შპს „საქართველოს მელიორაციის" მიერ დაგეგმილი ღონისძიების (სომხეთის სოფლის მეურნეობის დელეგაციისათვის) ტექნიკური მხარდაჭერა მ/წ 18 აგვისტოს, N1 დანართის შესაბამისად, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6;

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 განსახორციელებელი მომსახურება ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება შპს „საქართველოს მელიორაციის" გენერალური დირექტორის თანაშემწეს ირინა ბარამიძეს.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.

7.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, ანგარიშ-ფაქტურისა და/ან მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „შემსყიდველს“ მის მიერ მოთხოვნილი მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად მოუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვევულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1.ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 18 აგვისტოდან 2015 წლის 1 ოქტომბრამდე.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს „საქართველოს მელიორაციის" გენერალური დირექტორის თანაშემწე ირინა ბარამიძე.

13.2. კონტროლის განმახორციელებელი პირის/პირების ფუნქციებია:

13.2.1. გაუწიოს კონტროლი მომსახურების მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

13.2.2. დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული მომსახურება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

14. ხელშეკრულებების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

14.1.1 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

14.3.1.თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.3.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

14.3.3.საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.3.4. მხარეები უფლებამოსილი არიან შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე რის შესახებაც ერთმანეთს აცნობებენ წერილობით სახით.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

15.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი

ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაცის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

15.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია”
საიდენტიფიკაციო კოდი 204524568
მისამართი ქ. თბილისი, მარშალ
გელოვანის გამზ. N6
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE58BG0000000182323100

გენერალური დირექტორი:

ლევან დვალი

„მიმწოდებელი“
შპს „მთარგმნელობითი აპარატურა პლუს“
მისამართი ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ.
მე-5კვ. მე-2 კორპ.
საიდენფიკაციო კოდი 406091214
ს/ს თიბისის ბანკი TBCBGE22
ანგ GE56TB7394936080100002

დირექტორი

ეკა ჩოჩუა

დანართი N1

N	თარჯიმანი	დღე	სამუშაოს აღწერა	ერთ. ფასი (ლარი)	სულ ფასი (ლარი)
1	1	1	სინქრონული თარგმანი რუსულიდან ქართულად და პირიქით, ასევე სომხურიდან ქართულად და პირიქით	300.00	300.00
სულ					1350.00

მომსახურების გაწევისათვის საჭირო დასაქირავებელი აპარატურის ჩამონათვალი

N	რაოდენობა	დღე	აპარატურის ჩამონათვალი	ერთ. ფასი (ლარი)	სულ ფასი (ლარი)
1	1	1	ცენტრალური მართვის პულტი	250.00	250.00
2	2	1	დელეგატის მიკროფონი	12.00	24.00
3	1	1	თარჯიმნის პულტი	70.00	70.00
4	30	1	მიმღები ყურსასმენებით	12.00	360.00
5	2	1	რადიო მიკროფონი	50.00	100.00
6	1	1	მიქშერი	50.00	50.00
7	2	1	დინამიკები	50.00	100.00
8	2	1	ტრიბუნა	50.00	100.00
9	1	1	ტრანსმიტერი	215	215.00
910	2	1	აპარატურის ინსტალაცია და მომსახურება	110.00	220.00
სულ					1489.00
სულ					1789.00
დ.ღ.გ.					322.02
სულ ფასი					2111.02

„შემსყიდველი"
შ.პ.ს `საქართველოს მელიორაცია"

ლევან დვალი
გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
შპს „მთარგმნელობითი აპარატურა პლუს"

ეკა ჩოჩუა
დირექტორი